წლიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — ხუთშაბათი, მაისის 4, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакция „Сакартвело", поч. ящикъ № 76
ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ

№ 95 — ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა — № 95

გაზეთი
„საქართველო"
ღირს:
მთელის წლით—15 მ., 1/2 წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 აპრილიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ." ღირება 11 მ.—25 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის მიხედვით.
რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

დეკანოზი ლაზარე ალექსის ძე ტურიაშვილი თავის შვილებით (ალექსანდრა, კონსტანტინე, ნიკოლოზი და ნადეჟდა) და სიძეები, აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ამა მაისის 4-ს, კუკიის წმიდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

თამარ ლაზარეს ასულის
დაფქვიაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება ათის ნახევარზე.
(1—627—1)

წიგნის-გაზეთების კანტორა
„იმერეთი"
ქუთაისში.
ამით აუწყებს „საქართველო"-ს ყველა ქუთათურ ხელის მომწერთ, რომ რედაქცია საჩქაროთ მოითხოვს ანგარიშს. ამისათვის კონტორა იძულებულია ახლა უკვე გაზეთის საშუალებით მოგმართოთ თქვენ, რომ ერთის კვირის განმავლობაში შემოიტანოთ კონტორაში გაზეთის ხვედრი ფული. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის მიღება მოგესპობათ.
კონტორა „იმერეთი"-ს გამგე იხიდორე კვიცარიძე.

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.
აპრილის 30, 1917 წლისა, ახალ კლუბის შენობაში დანიშნულია ქართულ თეატრის მსახიობთა ყრილობა
საპროფესიო კავშირის
დასაარსებლად.
სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურებენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლად ჩამოვიდნენ ქ. თბილისს.
ყრილობა დაიწყება დილის 11 საათზე.
რჩეულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.
(6—661—4)

განცხადება
ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო
აუწყებს ყველას, ვინც კლუბის ბიბლიოთეკით სარგებლობენ, რომ მომავალ
მაისის პირველიდგან
კლუბი შეუდგება ბიბლიოთეკის სისტემატიურ კატალოგის შედგენას და ამიტომ სთხოვს წაღებული წიგნები
დაუყონებლივ დააბრუნონ
(4—669—3)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ
„ხალხის თავისუფლება"-ზე
(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)
ივ. გომართლის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.
გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.
გაზეთი ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" I. Имедашвили.

ექიმი
მ. ბ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიუბლის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

## თბილისი, მაისის 4.

## პროვოკაცია აჭარაში

აჭარიდან ცუდი ამბები მოდის.

როგორც გვამცნეს, ამ დღეებში ბათომის აღმასრულებელ კომიტეტს განსაკუთრებული განცხადება მიუღია, სადაც მოხსენებულია, თუ როგორ დაძრწიან აჭარის სოფლებში ვიღაც შეიარაღებული უცნობნი, ხანდახან სამხედრო ფორმაში გამოწყობილნიც; ისინი თურმე ვიღაცას და რაღაცას ზვერავენ; ეს მზვერავები ისეთ ადგილებშიაც ჩნდებიან, სადაც საალყო წესის დროსაც კი არვის უნახავს უცხოელი.

რასაკვირველია, არა ერთხელ აწიოკებულ სოფლელთ ეს ძალზედ აფრთხობს.

ამას გარდა თვით ქალაქ ბათომში დაუწყვიათ თარეში ბნელ ძალებს და აჭარელთა წინააღმდეგ პროვოკაციას ეწევიან: ხმებს ავრცელებენ, ვითომც მაჰმადიანები იარაღს ისხამენ და რუსის ჯარს ემუქრებიანო.

ამ ნიადაგზე ბათომში უკვე რამდენიმე შემთხვევა მომხდარა და სწორედ ამას აუძულებია აჭარლები ბათომის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე პროვოკაციის ალაგმვის საკითხი დაეყენებინათ.

ეს საკითხი მეტად მძიმე და სერიოზულია.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა ამბები მოხდა სარიყამიშში, აზრუმში, ჰასანკალაში.

აქ ყველგან პროვოკაცია მითი დაიწყო, რომ ხმები დაჰყარეს, მაჰმადიანები იარაღს ისხამენ და რუსებს ემუქრებიანო; ამ ხმების გავრცელებას მაჰმადიანთა ჩხრეკა მოჰყვა და ჩხრეკა კი საშინელი აწიოკება-პოგრომით დასრულდა.

მაჰმადიანთა თბილისის ეროვნულმა კომიტეტმა უკვე გამოაქვეყნა პროტესტი ამგვარ პროვოკაციის წინააღმდეგ და ამიერ კავკასიის კომიტეტს მოსთხოვა კიდეც სათანადო მოწოდების გამოქვეყნება.

ბათომის ოლქის სარევოლუციო მთავრობას, როგორც აღმასრულებელ კომიტეტს, ისე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს ჰმართებთ თავის მხრივ პროვოკატორთა წინააღმდეგ დაუყონებლივ სასტიკი ზომების მიღება.

მაჰმადიან ქართველობას კი ჰმართებს რაც შეიძლება მეტი სიდინჯე და შეგნებული მოქმედება, ყოველივე საპროვოკაციო ფაქტი უნდა გამოძიებულ იქმნას და ისე უნდა მოხსენდეს ბათომის ახალ მთავრობას.

მთელ ქართველობას კი ჰმართებს დარაჯად იდგეს თავის მოძმე მაჰმადიანთა მშვიდობიან ცხოვრების უზრუნველსაყოფლად.

კარგი იქნებოდა, რომ ქართველობის მკვეთრი ხმა წარმოთქმულიყო არა ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ, არამედ ყველა პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებით,—ეროვნულად.

მთელი ქართველობის ეროვნული ხმა უსათუოდ უნდა გაისმას აჭარელთა იმ ყრილობაზედ, რომელსაც ამ თვის დამლევს იწვევს ქართული ქველმოქმედი საზოგადოება, მით უფრო, რომ ამ ყრილობის უმთავრესი საგანი პოლიტიკური საკითხები იქნება.

## მთავრობა და რევოლიუცია

როდესაც რევოლიუციის ძალით რუსეთის იმპერიის სათავეში მოექცა ნელ-თბილი ლიბერალი დროებითი მთავრობა, ჩვენ შინაურობაში ვამბობდით, რომ მისი არსებობა ხანმოკლეა, სამს თვეს ვერ გასცილდებაო; მაგრამ, როდესაც მანვე განიმეორა ძველი რეჟიმის და იმპერიალისტების ლოზუნგი „ომი ბოლომდისაო" და ბ-ნ მილიუკოვების ოცნებამ ისევ აიასოფიას და სრუტეებს მიაპყრა ოცნების თვალი—აშკარა შეიქმნა, რომ დროებითი მთავრობის დღენი დათვლილია. წვრიმალი შეცდომა მხოლოდ ერთშია, რომ პირველი უნდა წასულიყო მილიუკოვი, როგორც უახლოესი მეზობელი ძველის რეჟიმის იმპერიალისტებისა და ფაქტიურად კი წავიდა თავიდან ბ-ნი გუჩკოვი.

რევოლიუციის მოხდენის დროს ობიექტიური პირობები ასეთი იყო, რომ დროებით მთავრობას შერჩენა შეეძლო თავისი ადგილისა და უფლებისა მხოლოდ ერთი საშუალებით—ომის ლიკვიდაციით. მაგრამ სახელმწიფოებრივი გონიერებით აღჭურვილი არ აღმოჩნდა იგი და პასუხისმგებლობა იკისრა ყველა იმ ანარქიისა, უწესოებისა და შიმშილობისა, რომელიც დაუტოვა დაბრმავებულმა ცარიზმმა ომის წყალობით. პასუხისმგებლობა დიდი იყო და ძალა კი ამისათვის მეტად სუსტი. ცხადია, დროებითი მთავრობა უნდა დამარცხებულიყო. მართლაც, ერთის მხრით ომი შეუპოვარ და ძლიერ მტერთან, მეორე მხრით სურსათ-სანოვაგის კრიზისი და მოუწესრიგებლობა და მესამე მხრით ქვეყნისა და რევოლიუციის ორგანიზაცია—ყველა ეს მძიმე საკითხი ცალ-ცალკეც მოითხოვდა ღირსეულ და გონება-მახვილ მუშაკთ და იმპერიის აზრის გამომთქმელად კი გამოვიდა მემარჯვენე, მეოთხე „დუმის" თავმჯდომარე ოქტომბრისტი როდზიანკო; ამავე დროს ქვეყნის გარეშე საქმეთა გამგეთ უძლიერესი იმპერიალისტი მილიუკოვი, კადეტ-ლიბერალი და სამხედრო ძლიერების შემქმნელად გუჩკოვი, რომლის პირველი „ბრძანება" სამხედრო გონიერების და ცოდნის სრულ სიკოტრეს წარმოადგენდა. დროებითმა მთავრობამ ვერ აართვა ალღო მდგომარეობას, ვერ გაუძლო ისტორიულ გამოცდას და ბუნებრივად დაუთმო სადავე უფრო დროულს, მაგრამ დროის შესაფერ სარევოლიუციო ორგანოებს: მუშათა და სალდათთა საბჭოებს დაემორჩილა ფაქტიურად. ეს ასეც უნდა ყოფილიყო და შეცდომა იქნებოდა სარევოლიუციო ორგანოებისაგან თვითონ ეტვირთათ მთელი პასუხისმგებლობა და ხელთ ეგდოთ სახელმწიფო მმართველობა, ან როგორც უკანასკნელ დროს ლაპარაკობენ შესულიყვნენ საკოალიციო სამინისტროში. რევოლიუციას და მის მებაირახტრეთ თავისი საკუთარი გზა, საკუთარი მიზანი და საშუალებანი უნდა ჰქონდეთ ბრძოლისა არა მარტო ძველი რეჟიმის დასამხობად, არამედ ყველა მისი ანარეკლის მოსასპობადაც და ხელში აღება მმართველობის კვერთხისა დღევანდელ პირობებში, ან განაწილება პასუხისმგებლობისა თავისსა და ლიბერალ ბურჟუაზიას შორის—ეს ღალატი იქნებოდა რევოლიუციისა და სარევოლიუციო შემოქმედებისა. პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭო ამ მხრივ სრულის შეგნებით მისდევს კაკი წერეთლის და კ. ჩხეიძის ფორმულას, რომ საბჭომ უნდა მხოლოდ კონტროლი გაუწიოს დროებით მთავრობას, რომ მან არსებითად ნირი არ შეიცვალოს, როგორც ეს უკვე დაეტყო ზოგიერთ მის გამოსვლას და გარდაწყვეტილებას. ამ კონტროლის ძალა უფრო ძლიერია რევოლიუციის გამაგრებისათვის, ვიდრე ორიოდე კაცის სამინისტროში შესვლა, რადგან შექმნილ საგარეო და საშინაო მდგომარეობიდან ღირსეული გამოსვლისათვის ობიექტიური პირობები ჯერ არ არის შექმნილი და ამ დროს აღება ხელში მმართველობისა—სახელს გაუტეხდა რევოლიუციას ისევე, როგორც გაუტეხა ყველა იმ გაბედულს, დღევანდელსავით თავს რომ ახეთქებს და გამოსავალი კი ვერ უპოვია. საერთაშორისო და სარევოლიუციო ბრძოლა ბუნებრივ ბოლომდის უნდა მივიდეს, უნდა დაიშრიტოს, რომ შესაძლებელი იყოს სარევოლიუციო ორგანიზაციებმა მიზან-შეწონილად მოჰკიდონ ხელი მთავრობის კვერთხსა.

**რ. გაბაშვილი.**

## ჩვენი განმარტება

(რუსის სამღვდელოების პროტესტანტებს და „კავკაზსკოე სლოვო"-ს)

საქართველოს ეკლესიის თავისუფლების საკითხმა თბილისის არა ქართველ სამღვდელოებაში გასაოცარი აღელვება გამოიწვია.

ყველანი, ვის ტანშიც თავისუფლების ხსენება ველის ყრუანტელს იწვევდა მარად, ხოლო თავისუფლების ხელმწიფებაში კი იძულებულნი გახდნენ მდუმარეთ ქვეულიყვნენ, საქართველოს ეკლესიის თავისუფლების საწინააღმდეგოთ შემოკრბენ და ჩვენს სამართლიან და კანონიერ უფლებათა აღდგენა, უცხოთა მიმართ ძალადობის ხმარებათ აღიარეს.

არა მისთვის, რომ მებრძოლი რევოლიუციონერები ყოფილიყვნენ და სიმართლისა და სამართლიანობის პრინციპებს იცავდნენ.

განა შეუძლიანთ რევოლიუციის წმიდა დროშა დაიჭირონ ხელში იმათ, ვინც ძველად მხოლოდ სხვა და სხვა „ჭეშმარიტ" კავშირებს ასულდგმულებდნენ? არა მისთვის, რომ ჩვენი პოლიტიკა ვინმეს წინააღმდეგ მართლა აგრესიული ყოფილიყო.

განა მათ ვერ გაიგეს, თუნდაც ოფიციალ დეკლარაციიდან, რომ საქართველოს ეკლესიის მომავალი წყობილება წმინდა დემოკრატიულ საფუძველზედ იქნება აშენებული და ყველა უცხოელთ სრული გარანტია ექნებათ, როგორც სურთ ისე მოაწყონ თავისი საეკლესიო მართვა-გამგეობა. ეს ყველამ გაიგო, ვისაც გაგება სურდა და ყურნი სასმენლად და თვალნი მახვილად ჰქონდათ მოქცეულნი.

გაიგო „კავკაზსკოე სლოვოც"-კი, მთელი კამპა ია რომ ჰქონდა გაშლილი ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენს პოზიციას „სრულიად გონიერი" უწოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც მის პროვოკატიულ გამოსვლებს საკმაოთ ნათლად ავხადეთ ფარდა.

ვერ გაუგია მხოლოდ რუს სამღვდელოების აღმასრულებელ კომიტეტს, ან უკეთ რომა ვსთქვათ, ცნობილ გოროდცევისა და ოსეცკის ჯგუფს, რომელთა შორის არა ნაკლებ ცნობილი ბ-ნი სლიუნინი ბრძანდება.

აი ეს ჯგუფი აუშფოთებია ჩვენს გამოსვლას ნაექსარხოსალ პლატონის წინააღმდეგ და პროტესტს აცხადებს „საქართველოს" და „ვოზროჟდენიეს" გარშემო მყოფ „უპასუხისმგებლო პირთაგან" თავის თამჯდომარის არქიელ პლატონის შეურაცყოფის გამო.

ამ პროტესტს ორი საფუძველი აქვს: ან კომიტეტს აღელვებს ის, რომ ჩვენ ჩვენი უფლებების დასაცავათ გულმოდგინეთ რომ ვიღწვით, ან ნამდვილათ იცავენ მხოლოდ თავის საეკლესიო მეუფეს.

პირველ შემთხვევაში მათ უნდა გაიგონ, რომ ჩვენ უფლებებს არავის არ დავუთმობთ და ძირს არ დავხრით არც იმ სიმართლისა და სამართლიანობის წმიდა დროშას, მრავალხანის განმავლობაში ამაყად ხელში, რომ გვიპყრია.

ხოლო თუ, მხოლოდ ნაექსარხოსალ არქიელს ექომაგებიან, მაშინ გვაქვს პატივი პასუხის მიცემა დავაყოვნოთ იმ დრომდე, ვიდრე ის პეტროგრადს ჩაბძანდება და „განახლებულ" სინოდში თავის პოლიტიკურ სახეს პირბადეს ახსნის.

## ფინეთის პარლამენტიდან

3.

„სამეფო დარბაზში" მოვისმინეთ რუსეთის და ფინეთის წარმომადგენელთა აზრი ორ სახელმწიფოს ურთიერთშორის დამოკიდებულების გამომხატველი. ეს მეტად საინტერესოა დღეს, რადგან იგი ნათლივ გვიჩვენებს რუსეთის დროებით მთავრობის დამოკიდებულებას ეროვნულ საკითხისადმი საზოგადოთ და კერძოთ ფინეთისადმი. მეორეს მხრივ ჩვენ ვტყობილობთ ფინეთის ერის აზრს მის მომავალ დამოკიდებულებისა და საკუთარ უფლებრიობის შესახებ. მომყავს სავსებით ორივე მხრის ოფიციალი სიტყვები:

გენერალ-გუბერნატორ **სტახოვიჩმა** შემდეგის სიტყვით მიმართა:

„ბატონო ფინეთის ერის წარმომადგენელნო! მრავალ წლის შემდეგ და ორმეფობისა დღეს წარმომადგენელი **მპყრობელ რუსეთისა** ხნის მის დროებით მთავრობის **ბრძანებით**, რომელიც არის მატარებელი დამფუძნებელ კრებამდე ყოვლად სრულ სახელმწიფო ძალისა (власти)—ფინეთის სეიმს და მიესალმება ხალხის წარმომადგენელთ დიდ სამთავროისას გულწრფელის კეთილმოსურნე გრძნობითა და ორივე ერის სინიდისის წინაშე სიმართლის საზიარულო შეგნებით.

არ გასულა ჯერ კიდევ კვირა მას შემდეგ რაც ტახტიდან ჩამოვიდა გადაყენებული უკანასკნელი იმპერატორი და ხალხმა—თვითმპყრობელმა დაუბრუნა ფინეთის ძმას ყველა უფლებები, კუთვნილი კონსტიტუციით, და უზრუნველ ჰყო იგი ყველა უცვლელ პირობებით, რომელნიც საჭირონი არიან თავისუფალ თანამედროვე სახელმწიფოს აყვავებისა და განვითარებისთვის.

7/20 მარტის მანიფესტმა უკვე გამცნოთ თქვენ, რომ განკარგულებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან ფინეთის კანონებს ძალაში დარჩებიან მხოლოდ ისინი, რომელნიც გამოწვეულნი არიან საკაცობრიო ომის მიერ და ისიც მხოლოდ მანამდის, სანამ ომი არ დამთავრებულა. რაც შეეხება მის ხანგრძლიობას, მას დედამიწის ზურგზე ვერვინ განმარტავს, ხოლო მე აქ ხმამაღლივ ვაცხადებ, რომ დროებით მთავრობასთან ერთად სრულიად რუსეთის მიწა დარწმუნებულია მოკავშირეთა ამ რჯულში და არ დაუშვებს სხვა ნაირად დამთავრებას. ამისთვის ჩვენ ვიურვეთ თქვენთან ერთად და რუსი მეომრები და კმაყოფილებს ყოველივე თქვენ სამართლიან სურვილებს, მტკიცედ ეხსომება რა ამასთან, რომ კავშირი უფლებისა ძლიერი და მაგარია, ვიდრე უფლება ძალისა.

თავისუფალი რუსის ხალხი ამის შემდეგ არასოდეს არ შეეხება ფინეთის თავისუფლებას, იმიტომ რომ ეხლა ის სიამოვნებითა გრძნობს, რომ თავისუფლება არის უფლება, ბედნიერება და ღირსება ყველა ხალხთა.

ვაცხადებ სეიმს „გახსნილად".

გენ.-გუბერნატორ **სტახოვიჩის** ეს სიტყვა იქვე ითარგმნა ფინურ და შვედურ ენებზე, რომლის შემდეგაც სეიმის სახელით ტალმან **მანნერმა** საპასუხო სიტყვით მიმართა ფინურ ენაზე რუსეთის წარმომადგენელთ. ეს სიტყვაც მაშინვე იქნა განმეორებული რუსულ ენაზე, რაც სავსებით აქვე მოგვყავს.

„ფინეთის სეიმი—სთქვა ტალმანმა—ჩემის პირით მიესალმება განთავისუფლებულ რუსეთს. ფინეთის ხალხი ღრმად პატივსა სცემს ფართო რუსის წრეებს, რომელნიც არ იტანენ დამჩაგვრელ იგოს, აფასებენ და სცნობენ აგრეთვე სხვა ხალხთა თავისუფლების მოყვარეობას. ფინეთი, ისევე როგორც რუსეთი, აღარ არის მონარქიული ქვეყანა. ეს ფაქტი კი ითხოვს, ფინეთში, ისევე როგორც რუსეთში, უფრო **დემოკრატიულ წესწყობილების შემოღებასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის განმარტებას ახალ საფუძვლებზე** (на новыхъ началахъ) **რუსეთისადმი დამოკიდებულების შესახებ.**

მძიმე გამოცდილებისა, ჩაგვრისა და დევნის წყალობით, აგრეთვე რუსეთის საკანონმდებლოს ზედგავლენით, განმტკიცდა ჩვენს ხალხში რწმენა, რომ ფინეთის პოლიტიკური მდგომარეობა არ არის უზრუნველყოფილი. პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა არ შეეფერება ფინეთის ხალხის განვითარების სიმაღლეს და ვერ აკმაყოფილებს მის საკუთარ ბუნებრივ მოთხოვნილებას კულტურისა და განვითარებისკენ მიმართულს, რომელიც დიდად განსხვავდება რუსეთის პირობებისგან. **თავისუფალ რუსეთის მხგავსად, ფინეთის თავისუფალმა ხალხმა უნდა თავისი ადგილი დაიჭიროს ხალხთა მომავალ მტკიცე ძმურ კავშირში**

აწ სეიმის მოვალეობაა დაიცვას და დაიფაროს ფინეთის თავისუფლება. მაგრამ სეიმს მიაჩნია საპატიოდ (важнымъ) და გულწრფელად იმედოვნებს, რომ **ჩვენი ხალხის დამოკიდებულებიდან განთავისუფლება იქნება შესრულებული და უზრუნველყოფილი იმნაირის საშუალებით, რომელიც ამასთან ერთად, უზრუნველჰყოფს მტკიცე, შეთანხმებულ და ნაყოფიერ ურთიერთობას რუსეთის ხალხთან,** რათა ჩვენ ხალხთა ძმურ ურთიერთობის გათიშვა ვერ შეძლოს ვერც დევნამ, ვერც ძალდატანებამ, რათა ვერ მოუშხამოს ვერც შურმა და ვერც ბოროტებამ.

საკანონმდებლო მუშაობის განვითარება ფინეთში დიდი ხანი იყო ბორკილებში, რამაც დიდი ზიანი და მწუხარება მიაყენა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის **მუშათა კლასს.**

აწ სეიმი გამსჭვალულია სურვილით და იმედით, რომ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დადგა ახალი, უფრო ნათელი დრო“.

ამის შემდეგ გენერალ გუბერნატორმა გადასცა სეიმს ის კანონ-პროექტნი, რომელნიც უეჭველად უნდა განხილულ იქნენ სეიმის მიერ 1917 წლის განმავლობაში. აქ დღესასწაულის აღწერის შესახებ მეტს არას ვიტყვი, რადგან უმთავრესი და მნიშვნელოვანი მხოლოდ ის ორი ოფიციალი სიტყვაა, რომელიც უკვე მოვიყვანე. აქ არც ამ სიტყვების მნიშვნელობას შევეხები, რადგან მკითხველს თვით შეუძლია წარმოიდგინოს მათი მნიშვნელობა. მე მხოლოდ ვკმაყოფილდები ამ სიტყვათა ზოგიერთ ადგილების ხაზის გასმით, დანარჩენი მკითხველმა გაარჩიოს და გამოიცნას ის მრავალ-მნიშვნელოვანი სიტყვები, რომლებიც იურიდიულის ტერმინოლოგიით და დიპლომატიურის გაგებით მეტის-მეტად ბევრსა და საყურადღებოს გვეუბნება!..

**დ. ჩიქოვანი.**

# რევოლუცია

## დეპეშები

**გუჩკოვის გადადგომა.**

**პეტროგრადი.** მაისის 1. ბრძანება არმიასა და ფლოტს. 1917 წლის აპრილის 30 თავი დავანებე სამხედრო და საზღვაო მინისტრობას. სამხედრო სამინისტროს დროებით გამგეობას ვაბარებ არტილერიის გენერალს მანიკოვსკოვს, მაგრამ რაკი იგი ბანაკშია, მის მაგივრობას დროებით გენერალ-ლეიტენანტი ნოვიცკი გასწევს. საზღვაო სამინისტროს გამგეობას ვაბარებ კონტრ-ადმირალს პეტროვს. ხელი აწერია: სამხედრო და საზღვაო მინისტრი ა. გუჩკოვი.

**ახალ მთავრობის განცხადება გუჩკოვის გადადგომის გამო.**

**პეტროგრადი.** მაისის 1. გუჩკოვის გადადგომის გამო, ახალი მთავრობა მოაგონებს ყველას, რომ მან თავისი შეხედულობანი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, გუჩკოვის თანხმობით აპრილის 26 ის მოწოდებაში გამოაქვეყნა.

ზემოხსენებულ მოწოდებაში მთავრობამ განაცხადა, რომ დღეს რუსეთი დიდ განსაცდელშია და დიდი საფრთხეც მოელის, თუ სამშობლოს ყველა ძალამ მონაწილეობა არ მიიღო მის საკეთილდღეოდ. დღეს გუჩკოვიც გადადგა, რადგანაც თავისი თავი სამუდამო პასუხისგებას ვერ მისცა. დროებით მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ დემოკრატიულ ძალების მოწვევა მთავრობის შემადგენლობაში საქმეს დიდად გამოასწორებს.

**გუჩკოვის გადადგომის გამო.**

**პეტროგრადი,** მაისის 1. სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტში მ. ვ. როძიანკოს თავმჯდომარეობით შესდგა კრება. გუჩკოვის გადადგომის შესახებ არავითარი ზომა არ მიუღიათ. ზოგიერთებმა სასურველად სცნეს: დროებითი მთავრობის შემადგენლობის სოციალისტებით შევსება.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს სხდომა.**

**პეტროგრადი.** მაისის 1. ჩხეიძის თავმჯდომარეობით შესდგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს სხდომა. კრება შეეხო დღევანდელ მთავრობის მდგომარეობას. სხდომას დაესწრო იუსტიციის მინისტრი კერენსკი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ საბჭომ გადასწყვიტა: შევიდეს დროებით მთავრობის შემადგენლობაში.

**სურსათის ნაკლებობა და უწესოებანი.**

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მაისის 1. გორბატოვის კომისარი დეპეშით იუწყება, პურის მოტანა შეფერხდა და სასურსათო კრიზისი ძლიერდებაო. შესაძლოა მშიერთა ბუნტიო. მაზრაში დიდი არეულობა არა არის-რა, მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევა იყო თვითნებობის და საკუთრების უფლების დარღვევისაო. იყო ორი შემთხვევა, როცა მიწის საკითხში ბრბოს უთანხმოება მოუვიდა. გამოძიებაა.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდება.**

**პეტროგრადი,** მაისის 1 (დასასრული). დაე, რუსეთის დაწყებული საქმე და ბრწყინვალე რევოლიუცია საერთაშორისო პროლეტარიატმა განამტკიცოს. ამის გამო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ თავს იდვა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ქვეყნის სოციალისტები.

**ფრონტის დელეგატთა ყრილობა.**

**პეტროგრადი,** აპრილის 30. სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენერალი მანიკოვსკი არმიის მდგომარეობის განმარტებას იძლევა. მინისტრის ამხანაგის ცნობით მხოლოდ 1915 წლის ბოლოს სამჯერ იმატა საომარ მოწყობილობამ, ისიც რუსეთის მრეწველთა და მოღვაწეთა მოქმედების წყალობით. ახლა კი ჩვენი ჯარის იარაღის და სურსათის საქმე სრულიად უზრუნველყოფილია! . ფინანსიურ და კანონმდებლობის შესახებ განმარტებას იძლეოდა მინისტრის მეორე ამხანაგი გენერალი **ფილატოვი.** კომისია დღეს „შეღავათიანთა“ საქმეებს ჰსინჯავს. მომხსენებელი ეხება ჩრდილო ასპარეზის მთავარსარდლის გენ. რუზსკის სამსახურიდან გასვლას და მიზეზად მის დაქანცვას ასახელებს. ტრიბუნაზე ადის სამხედრო მინისტრი **გუჩკოვი:** „მე დღეს გესაუბრებით, არა როგორც სამხედრო მინისტრი, არამედ როგორც უბრალო რუსი. გუშინ მე განვაცხადე, რომ სამსახური აღარ შემიძლია მეთქი, ახლა კი წერილობითი თხოვნით მივმართე თავად ლვოვს, რათა გამანთავისუფლოს ჩემის მოვალეობისაგან. მიზეზად სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობას დაგისახელებთ. დღეს ჩვენი ჯარის და ფლოტის საქმე ისე არის არეული და აწეწილ-დაწეწილი, რომ მე ვერ შევძელი მისი გარდაქმნა. საქმეთა არევა კი საბედისწერო დღეებს უმზადებს რუსეთს. გეტყვით, რომ აღარ შემიძლია ასეთ პირობებში სამსახური, რომ თავს ვერ ვიდებ სამშობლოს მძიმე ცოდვებს. მაქვს კიდევ ერთი მძიმე მოვალეობა—მოგითხრობთ თუ რამ გამაბედვინა ასეთ ნაბიჯის გადადგმა: კარგა ხანია, ძველმა მთავრობამ ოწვეულ მიმიწვია თავის შემადგენლობაში. მე უარვყავ მისი წინადადება, რადგანაც უნდა მემოქმედნა განსაზღვრულ ჯგუფთან, განსაზღვრულ პროგრამით. სულ სხვა იყო დღეს, რადგანაც უნდა მემოქმედნა საყვარელ მეგობრებთან ერთად, მაგრამ არმიის და ფლოტის მდგომარეობა ახლაც ისე უნუგეშოა, რომ იძულებული ვარ გადავდგე სამსახურიდან. მე დიდად ვაფასებ სამხედრო საქმეს. ეს მეოთხე ომია, რომელშიც მონაწილეობას ვღებულობ. იაპონიის ომში დიდი ბოროტ-მოქმედებანი შევამჩნიე ჩვენს სამხედრო ორგანიზაციებში და აღთქმა დავდე, რომ ჩემს თავს მხოლოდ მის გამოსწორებას შევწირავდი. დღეს თითქოს გამოჩნდა ბრწყინვალე პერსპექტივები, არც ერთი საჭირბოროტო საკითხი არ დამრჩენია სახ. სათათბიროში წამოყენებული. სასტიკად ვებრძოდი სუხომლინოვს და კომპანიას, და მიასოედოვიც კინაღამ სიცოცხლეს არ გამოვასალმე. ომის დაწყებისას, მე ვგრძნობდი ჩვენს დამხობას და დამარცხებას. ჩემმა გაფრთხილებამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა, ძველ მთავრობას დაღუპვისაკენ მიჰყავდა სამშობლო, მხოლოდ ახალს შეეძლო მისი გამოხსნა სამუდამო დაღუპვისგან და უბედურობისგან. აი რისათვის გავხდი სასტიკ რევოლიუციონერად. შველა, შველაა საჭირო, რათა რუსეთი დავიხსნათ განსაცდელისაგან! გუჩკოვის სიტყვა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მცირე პაუზის შემდეგ ისმის დიდი ტაშის ცემა. აღელვებული გუჩკოვი ჩამოდის ტრიბუნიდან და სხდომის დარბაზიდან გადის.

**პეტროგრადი,** მაისის 1. **კერენსკი.** ამ ორ თვეში დარწმუნებული ვიყავ და ვარ კიდევაც, რომ მხოლოდ ის გვიშველის თუ ყოველი ჩვენგანი თავის პასუხისმგებლობას შეიგნებს. ამას იქით შეუძლებელია ისე მიდიოდეს საქმე, როგორც ეხლა მიდის. ასე ქვეყანას ვერას უშველით. ასი წლის მონობამ არამც თუ მარტო მთავრობა გარყვნა და ძველი მთავრობა გამცემთა ხროვად აქცია, არამედ თვით ხალხსაც დაუკარგა თავის და ქვეყნის ბედის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება. შეიძლება მალე დადგეს დრო, როდესაც გეტყვით, რომ ვეღარც პურს და ვეღარც საომარ სურსათს ვერ მივაწვდით, მაგრამ ამის დამნაშავენი ისინი არ იქნებიან, ვინც აგერ ორი თვეა ქვეყანას სათავეში უდგანან. ეხლა რუსეთის მდგომარეობა რთული და ძნელია. მონობიდან თავისუფლებაში გადასვლის პროცესი პირადი არ არის. იგი ტანჯვაა. თუ შეკავშირდებით და დაირაზმებით, მაშინ ჩვენი მტრებიც და მოყვრებიც პატივით მოგვეკიდებიან. უწინ ჩვენ მორჩილება და მოთმენა ვიცოდით. ეხლა კი რაღაა? განა, თავისუფალი რუსეთი აჯანყებულ მონათა სახელმწიფო ხომ არ არის (სკამებზე მოძრაობაა)! ამბობენ, ფრონტი საჭირო აღარ არისო, იქ დაძმობილდნენო! მერე, განა ორივე ფრონტზე დაძმობილდნენ? განა ჩვენი ფრონტიდან საფრანგეთ-ინგლისის ფრონტზე ჯარები არ გადიყვანა გერმანეთმა და მათი წინსვლა არ შეაჩერა? კერენსკის შემდეგ გამოდის პრეზიდიუმის წევრი უნტერ-აფიცერი ოიგი. იგი ნდობას უცხადებს მხოლოდ წერეთელს, კრება წერეთელს ოვაციებს უმართავს. წერეთელი თავის საუბარში უარჰყოფს სეპარატიულ ზავს, შემდეგ იგი ეხება დროებით მთავრობას. წერეთლის სიტყვამ ხანგრძლივი აპლოდისმენტები გამოიწვია.

**მუშათა და ჯარის კაცთა საბჭო და ესტონელთა ჯარი**

**რეველი.** მაისის 1. რეველის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ არმიის ეროვნულად დარაზმვა იწვევს, და ნაწილობრივ უკვე გამოიწვია, განხეთქილება სხვა და სხვა ეროვნების ჯარისკაცთა შორის, რომ კერძოდ ესტონელთა ბატალიონების შექმნა სწორედ ვერ არის გაგებული, როგორც პრივილეგია ესტონელ ჯარისკაცთა და რომ მას ისე უნდა ვუცქიროთ, როგორც ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონურ ცდას, რომლის სათავეშიც დროებითი მთავრობა სდგას, რათა განხეთქილება შეიტანოს რევოლიუციონურ არმიაში.—საბჭო თავის მოვალეობადა სთვლის ეხლავე დაშალოს ესტონელთა პოლკი ესტლანდიის გუბერნიისა და მახლობელ ფრონტის საზღვრებში ციხის შტაბის ნიხედვით. არასასურველად იქმნა ცნობილი აგრეთვე ნაციონალურ ბატალიონების შექმნა.

**ტყის კაფვის აღკრძალვა გლეხებისაგან.**

**მინსკი.** მაისის 1. სასოფლო საზოგადოებანი ნებას არ აძლევენ ტყის გაჭრისას არც კერძო და არც სახაზინო მამულებში, ამის გამო შეშის დამზადება ვერ შეძლეს, ვერც ქალაქებმა, ვერც ერობებმა და ვერც რკინის გზებმა, რომელთაც ზამთრისთვის უშეშოდ დარჩენა მოელისთ. ამით შეიქმნა ყოველივე ცდა გლეხების დაყოლიებისა.

**მეფის გვარეულობის სურათების ჩამოხსნა.**

**პეტროგრადი.** მაისის 1. დღეს მარინეს სასახლეში გამოცხადდა ამავე სასახლის მუდმივ მოსამსახურე-მუშათა ერთი ჯგუფი, დაიარა ყველა დარბაზები და ჩამოხსნა სურათები ყველა იმ პირთა, რომელნიც მეფის საგვარეულოს ეკუთვნიან. მათის სიტყვით ეს განკარგულება მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ არის გამოცემული.

**ვანდერველდეს განცხადება.**

**სტოკჰოლმი,** მაისის 1. გაზეთ „სოციალ-დემოკრატენის“ თანამშრომელთან ბაასის დროს ცნობილმა ვანდერველდემ განაცხადა: „მე წინააღმდეგი არა ვარ პაემანისა ლიბკნეხტთან, ბერნშტეინთან და კაუცკისთან, რაც შეეხება გერმანიის სოციალისტების უმრავლესობას, მათთან პაემანის დანიშვნის წინააღმდეგ ორი საბუთია: ერთი—ჩვენ არ შეგვიძლიან ვიაროთ იმ სოციალისტებთან ერთად, რომელნიც თავის მეორე ხელს ვილჰელმს უწვდიან; მეორე—გერმანიის სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობასთან წინასწარი მოლაპარაკების დაწყება მოასწავებელი იქნებოდა უმცირესობის ავტორიტეტის დამცირებისა, რომელმაც განაცხადა მათ შესახებ, რომ არ შეიძლება ვენდოთ იმ ხალხს, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად იარაღი გახდარან გერმანიის იმპერიის კანცლერისა და გერმანიის საიმპერიო მთავრობისა. ამ უმრავლესობასთან სამშვიდობო პირობათა შემუშავება გამოიწვევს ეროვნულ მოსაგერიებელ ძალის შესუსტებას, იმ დროს, როდესაც ხალხი საჭიროებს ყველა ძალების მოკრებას ომის საკეთილოდ დასაბოლოებლადო.

**ახალი ფინური უნივერსიტეტი.**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 1. აბოში შესდგა საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა ამ ქალაქში ფინურ უნივერსიტეტის გახსნა.

**კომისარიატის ბოროტ-მოქმედება.**

**პეტროგრადი.** მაისის 1. კოლომენსკის ნაწილის მცხოვრებნი ბრალსა სდებენ ადგილობრივ კომისარ ხარიტონოვს არაკეთილსინდისიერ მოქმედებაში. ხარიტონოვმა თავი დაანება თანამდებობას და მიიმალა ყველა იმ მოსამსახურე პირებთან ერთად, რომელნიც მის მიერ იყვნენ მოწვეულნი კომისარიატში. მათ მიერ მიყენებულ ზარალის ღირებულება ჰერცოგ ლეიხტენბერგის ქონება-სასახლისთვის უდრის 200,000 მანეთს.

**ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის კამათი დროებითი მთავრობის გამო საფრონტო ყრილობაზედ.**

**პეტროგრადი.** 1 მაისი. საფრონტო ყრილობის მაისის პირველის სხდომა წერეთლისა და ზინოვიევის კამათს მოუნდა. ზინოვიევი და კოლონტაი ამტკიცებდნენ, რომ არ შეიძლება ნდობა იმ მთავრობისა, რომელიც მხოლოდ შეძლებულ კლასთა ინტერესებს წარმოადგენს, ფარულ ხელშეკრულებათ იცავს და საანექსიო პოლიტიკას აწარმოებსო. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი მხოლოდ ერთი გზა ის არის, რომ მთელი მართველობა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს გადაეცესო. კოლონტაი ფრონტზე გამოსვლის წინააღმდეგ ლაპარაკობდა და ამტკიცებდა, რომ ბურჟუაზია მხოლოდ გვაშინებს ფრონტის გარღვევით და მით თავის ინტერესებს იცავსო.

ზინოვიევსა და კოლონტაის წერეთელმა უპასუხა და აღნიშნა, რომ დროებითი მთავრობა ხალხთან სრულიად დაშორებული არ არის. ჯერ კიდევ საკითხია, თუ უმრავლესობა ვის უჭერს მხარს. ვიდრე ბურჟუაზია დემოკრატიულ მოთხოვნილებებს პირნათლად იცავს, მასთან კავშირის შეწყვეტა სასტიკი დანაშაული იქნებაო. ორში ერთია: ან მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო ხელში ჩაიგდებს მთელ მმართველობას და არაფერს არ გამოსცვლის, ან მოკავშირეებთან დაარღვევს არ ებულ განწყობილებას და მით გერმანეთთან სეპარატიულ ზავს დასთანხმდება, რაიც უსათუოდ მთელი ხალხის და რევოლიუციის დამარცხებას გამოიწვევს. გერმანელებმა რომ ჩვენი მიწები დაიპყრეს, ეს ფაქტია და არა ბურჟუაზიის გამოგონილი ამბავი; და ამიტომ გასაგებია, რომ ზავისთვის ბრძოლა ფრონტის საომო ძლიერებას ეყრდნობა.

**ჯარი და მთავრობის საგარეო პოლიტიკა.**

**პეტროგრადი.** მაისის 1. დროებითმა მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: ჩვენ შავი ზღვიდან თავისუფალი გასასვლელი გვესაჭიროებაო. დეპეშას ხელს აწერენ კრეისერ „ოჩაკოვის“ ოფიცერნი და მეზღვაურნი.

**იტალეთი გუჩკოვის წასვლის გამო.**

**რომი.** მაისის 1. გუჩკოვის გადადგომამ სამხედრო მინისტრობიდან ფრიად დამაღონებელი შთაბეჭდილება მოახდინა იტალეთში. მაგრამ მაინც სჯერათ, რომ რუსეთი მოსძებნის გამოსავალს განსაცდელისაგან. იმედოვნებენ, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო გაჰბედავს მთავრობის შემადგენლობაში შევიდეს და პასუხისმგებლობის ნაწილს თვითვე იკისრებს.

**პარიზის გაზეთები და გუჩკოვი.**

**პარიზი.** მაისის 2. პარიზის გაზეთები გუჩკოვის წასვლის გამო ერთხმად მწუხარებას გამოსთქვამენ და ჰფიქრობენ, რომ მისი წასვლა გაფუთხილება მაინც იქნება ერისათვის, რომელმაც არჩევანი უნდა მოახდინოს მშვიდობიანობისა და ანარქიას შორისო.

# ეროვნული საკითხი

(დეპეშა)

**კორიცის რესპუბლიკა.**

**ათინა.** მაისის 1. იანინიდან იტყობინებიან, რომ კორიცის რაიონში ალბანელებმა რესპუბლიკა გამოაცხადეს, ხოლო ბერძნული ენა აღკრძალესო. რესპუბლიკის მესვეურებად 6 ოსმალო და 6 ალბანელი ითვლება.

**ებრაელები ფინეთში.**

**ჰელსინგფორსი.** მაისის 1. ამიერიდან ებრაელთა უფლებანიც გათანასწორებულ იქნა ფინეთის სხვა მცხოვრებთა უფლებასთან ერთად. დადებულ პირობების შემდეგ ებრაელებმა ფიცი წარმოსთქვეს: „ვფიცავთ ღმერთს და მის წმიდა სამართალს!“-ო.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარსარდლის ცნობა**

**პეტროგრადი.** მაისის 2. დასავლეთის და რუმინეთის ასპარეზებზე. გაძლიერებული სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**კავკასიის ასპარეზი.** კელერ-კამის და აკ-ბაბის რაიონებში, ერძინჯანის სამხრეთით კონტრ-იერიშით მოწინავე თხრილებიდან ქურთები გავდევნეთ.

**მესოპოტამია.** მდ. დიალზე, შეხ-სადის, კალა-მირკანის რაიონებში და ომარ-აგას პირდაპირ აპრილის 27-ს დიდი ბრძოლა იყო, წამოვიყვანეთ ტყვეები; ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

**საფრანგეთის მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მაისის 1 საღამოს ოფიციალი ცნობა. სერნის ჩრდილოეთით და ბერი-ო ბაკის აღმოსავლეთით გერმანელთა არტილერია ჰმოქმედობდა. შამპანში, მაღალ მთის რაიონში საარტილერიო ბრძოლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღირს შესანიშნავი არა მომხდარა რა.

**მფრინავთა მოქმედება**

**პარიზი.** მაისის 1. დღისით მოპირდაპირის 6 აპარატი ჩამოვაგდეთ. ჩვენმა მფრინავებმა მოპირდაპირის სარკინისგზო სადგურზე და საბანაკო ადგილებში გერმანელთა ფრონტის უკან 4000 კილოგრ. ამაფეთქებელი ნივთიერება ჩამოყარეს.

**სამხედრო მოქმედება ახლო აღმოსავლეთში**

**პარიზი.** მაისის 1. ასპარეზის ზოგ ადგილებში არტილერია ჰმოქმედობს. სერბიელთა არმია დობროპოლის მიმართულებით წინ იწევს. ვარდარის მარჯვენა ნაპირის ახლოს, მაკუკოვის სამხრეთით მტრის მზვერავთა რაზმები გავფანტეთ.

**ბელგიის ოფიციალი ცნობა**

**ჰავრი.** მაისის 1. ბელგიის ასპარეზის სხვა და სხვა პუნქტებში, კერძოდ კი დიქსმიუდეს რაიონში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა**

**ლონდონი.** მაისის 1. იპრის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მოპირდაპირე გავფანტეთ; ტყვეები წამოვიყვანეთ.

**ამერიკის ჯარი**

**ვაშინგტონი.** მაისის 1. პრეზიდენტის ბრძანებით მალე შესდგება ამერიკელი რეგულიარული არმია. დღემდე 183.000 კაცია შეგროვილი.

**სტუდენტთა გაწვევა ჯარში**

**პეტროგრადი.** მაისის 1. ჯარში იწვევენ 1898 წ. დაბადებულთ, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. გაწვეულთა შორის არ მოჰყვებიან: ა) უმაღლეს სასწავლებლების უფროსი კურსის მოსწავლენი, ბ) უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლის ორი უფროსი კურსის სტუდენტები, საექიმო ფაკულტეტის და საბეითლო ინსტიტუტების სტუდენტები. ამასთანავე არ იქნებიან გაწვეულნი ის ახალგაზდანი, რომელნიც ყაზახთა წოდებას ეკუთვნიან.

**ქურდი და ბრბო.**

**ტაგანროგი.** აპრილის 30. ახალ ბაზარზე ბრბომ მილიციას წაართვა ქურდი და სასიკვდილოდ სცემა. ცხენოსანთა რაზმმა ძლივს გაჰფანტა გააფთრებული ბრბო.

**ემიგრანტები.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 2. მალმედან (შვეიცარია) 298 სხვა და სხვა დასის ემიგრანტი მოვიდა. მგზავრობის საშუალება ფიგნერის კომიტეტმა აღმოუჩინა. მოგზაურობისას, ემიგრანტებს გერმანელები რუსული წიგნიანი საჭელებით უმასპინძლდებოდენ.

**სამხედრო ცენზურა გერმანეთში.**

**სტოკჰოლმი.** მაისის 1. ბერლინიდან იუწყებიან: რაიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში დიდი საჩივრები მოდის სამხედრო ცენზურის მოქმედებ ს შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰელფერიხმა განაცხადა, რომ ცენზურამ მხოლოდ სამხედრო ინტერესები უნდა დაიცვასო.

# რუსეთი და უცხოეთი

**სოციალისტურ პარტიის საბჭოს მომავალი რეზოლუცია.**

**პარიზი,** აპრილის 30. მაისის 14 ს, შეიკრიბება სოციალისტურ პარტიის ნაციონალური საბჭო. განსახილველი აქვს სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების საკითხი. უმრავლესობა იმ აზრისაა, რა აზრიც გამგე კომისიამ გამოსთქვა თავის რეზოლუციაში—სტოკჰოლმში წარმომადგენლებს ნუ გავგზავნითო. უმრავლესობის რეზოლუციაში ნათქვამი იქნება ის შეცდომანი, რაც კონფერენციის მოწვევის საქმეში მოსვლიათ. შემდეგ აღნიშნული იქნება, რომ ომამდის ინტერნაციონალმა დაადგინა, საერთო პროტესტის გამოცხადება და წინააღმდეგობა იმ სახელმწიფოს მთავრობის მიმართ, რომელიც პირველი ჩაიდენდა უსამართლობას. რეზოლუცია აღნიშნავს, იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ავსტრია და გერმანია შეესია სხვა სახელმწიფოებს, რომ ავსტრიის და გერმანიის სოციალისტები ამას წინ არ აღუდგნენ და პირიქით, მხარიც მისცეს და, რომ ინტერნაციონალი უძლური აღმოჩნდა ომისათვის ხელის შეშლაში.

**ბოროტ-მოქმედნი.**

**ოდესა.** აპრილის 27. სენატორმა ტრეგუბოვმა პასუხისგებაში მისცა: პელიკანი, მეჩნიკოვი, ფედოროვი და ალბრონდი. მათ ფულის გაფლანგვა და სხვა ბოროტმოქმედება ჰბრალდებათ.

# უკანასკნელი დეპეშები

**გუჩკოვის მაგივრად კერენსკის ასახელებენ. მის კანდიდატურას მთავარსარდლის შტაბი იცავს.**

—

**„რუსკ. ვოლია“ სწერს: ხალხის კეთილდღეობის გულისთვის არ უნდა გადადგეს დროებითი მთავრობა და არც გუჩკოვიო.**

—

**დღეს თავრიდის სასახლის წინ შეიყარნენ სხვა და სხვა ქარხნების უმუშევარნი მუშები, რომელნიც პურს და სამუშაოს თხოულობენ.**

—

**„დენი“ სწერს: თუ საბჭომ უარი განაცხადა მთავრობის შემადგენლობაში მონაწილეობის მიღებაზედ, მაშინ იგი პასუხს აგებს ანარქიასა და უმთავრობის დამყარებაში.**

—

**ვექილმა ქშესინსკამ მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. საბჭოსგან მიიღო შეკითხვაზე, რომ საჭიროებისამებრ გამოუგზავნიან ჯავშნიან ავტომობილებს. ქშესინსკი საჭიროდ აღარ სცნობს ამგვარ დახმარებას, ვინაიდან ლენინის მომხრენი ემზადებიან მოხალისეთა სახლის დასაცლელად.**

—

**მთავარსარდლების გურკოს და ბრუსილოვის სამსახურიდან დათხოვნა დროებითმა მთავრობამ არ შეიწყნარა.**

—

**დასავლეთ ასპარეზიდან მოსულის ცნობებით გერმანელებმა თავისი ძალები საფრანგეთის ფრონტზე გადიყვანეს.**

—

**ხმები, თითქოს გერმანელ პარლამენტიორებს გენ. დრაგომიროვი ენახულოთ, სიმართლეს მოკლებულია.**

დღეს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საორგანიზაციო კომისია მართავს კრებას მერვე და მეცხრე უბანში მცხოვრებ პარტიის წევრების თანამოაზრეთა და თანამგრძნობთა (თბილისის მეხამე მომრიგებელ მოსამართლის შენობაში ტურგენევის ქუჩაზე სახლი № 4), საღამოს 8 საათზე. კრებაზე დასწრება შეუძლია პარტიის ყველა თანამგრძნობთ, განურჩევლად სქესისა. კრებას მოხსენდება პარტიის პროგრამმა და საორგანიზაციო საკითხები.

# ქრონიკა

## კავკასია

✦ აპრილის 25-დან რუსეთის მიერ ოსმალეთის დაპყრობილ ადგილების ყრილობა იმართება. ყრილობა გენერალ-გუბერნატორის სახლშია. ყრილობის საგანია დაპყრობილ ადგილების მართვა-გამგეობა. ამბობენ კომისარად ივანიცკის დანიშნავენო.

✦ **ძარცვა-გლეჯა და ერთმანეთის ხოცვა.** კომისარ ჩხენკელს ჯავ ნშირის მაზრიდან დეპეშით ატყობინებს ადგილობრივი კომისარი კობიაშვილი, რომ მაზრაში გახშირებულია ძარცვა-გლეჯა და ერთმანეთის ხოცვ ; ფიცხელი ღონისძიების მიღებაა საჭიროვო.

## საქართველო

✦ **წერა-კითხვის** საზოგადოების განყოფილებების რწმუნებულთა კრება შემოდგომისათვის გადაიდევა, რადგან განყოფილებებს ჯერ რწმუნებულები არ აურჩევიათ და თავიანთი მოქმედების ანგარიშიც არ წარმოუდგენიათ. მიმდინარე წლის აპრილში წერა-კითხვის საზოგადოებას შემოსვლია 9.204 მან. 39 კპ. დახარჯულა 8.914 მან. 73 კ. მაისის 1-ს საზოგადოებას ნაღდ ფულად ჰქონდა 400.191 მან. 95 კაპ. სა-

ზოგადოების მთავარი გამგეობა თავისს წევრს დ. კარიჭაშვილს ჰგზავნის ახალციხეს იქაურ განყოფილების წევრთა საგანგებო კრების მოსაწვევად.

✦ **ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის წარმომადგენელების არჩევა.** ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის გამგეობამ კავშირის წარმომადგენელებად ქართულ საეკლესიო საქმეთა მმართველობაში აირჩია გ. ყაზბეგი და პ. გოთუა.

✦ **მასწავლებელთა დელეგატების კრება.** ხვალიდან (მაისის 5) თბილისში, ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, დაიწყება საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობა. განსახილველად ბევრი საყურადღებო საგანი.

## თბილისი.

✦ წელს თბილისის რეალური სასწავლებელი გაათავა ცხრა ქართველმა: ბუბა ჟღენტმა, გიორგი ხახუტაშვილმა, ნიკო გურასბაშვილმა, ვანო ოსიტაშვილმა, მიხეილ ტატიშვილმა, ლევან შენგელიამ, სამსონ მათიკაშვილმა, ვასო ცაბაშვილმა და ვანო ოქროცვარიძემ.

✦ **ქართული წარმოდგენა.** ორშაბათს 8 მაისს თბილისის ქართველ დრამატიულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე რევოლიუციური 5 მოქმედებიანი პიესა „ჟან და მადლენა".

✦ **თბილისის სასურსათო კომიტეტის** განკარგულებაში არის დღეს მცხოვრებთა გამოსაკვებად 5 დღის სარჩო. კომიტეტი დარწმუნებულია, რომ კრიზისს ადგილი არ ექნება, რადგან ამ დღეებში უკვე გამოვიდა სადგურ ნეზლობნაიადან თბილისისათვის ჩქარი მატარებლით ფქვილი, რომელიც ამ 3—4 დღეში უკვე მოვა აქ.

✦ **სურსათი.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს ატყობინებს მისი რწმუნებული აგრონომი დოლაქიშვილი, რომ ჩრდილო კავკასიიდან 40 ვაგონი სიმინდი გამოვგზავნე თბილისშიო. იმავე კომიტეტის სახელობაზე გამოუგზავნიათ სტავროპოლიდან 8 ვაგ. ფქვილი.

✦ **თბილისის მილიციის** შესანახად ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შეიმუშავა ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა და დროებითი მთავრობის კომისარიატს წარუდგინა დასამტკიცებლად. ამა წლის 1 მაისიდან მომავალი წლის 1 მაისამდე ხარჯი ნავარაუდევია 580.992 მან.

✦ **ერმაკოვის საფოტოგრაფიო პრეპარატები.** ამერიკიდან თბილისში მოვიდა ვინმე შაბანონი და ფოტოგრაფ ერმაკოვის მემკვიდრესთან მოლაპარაკება აქვს ამ უკანასკნელის საფოტოგრაფიო პრეპარატებს შეძენის შესახებ. პრეპარატებს ერმაკოვის მემკვიდრე ცხლა 70 000 მანეთად აფასებს. ეს ის პრეპარატებია, რის ყიდვასაც ქართული საეთნოგრაფიო საზოგადოება სცდილობდა.

✦ **მაჰმადიანთა კომიტეტის დადგენილება.** ადგილობრივ გაზეთებში, პროვინციებიდან ცნობები იყო, მუსულმანები რაღაც საიდუმლო აზრით იარაღს ისხამენო. ამ ცნობების შესახებ მაჰმადიანთა თბილისის ნაციონალურ კომიტეტმა მსჯელობა იქონია და დაადგინა განაცხადოს, რომ ასეთი ცნობები მხოლოდ პროვოკაციაა.

✦ **ხმება გავრცელებული,** ვითომც ხატისოვი დროებით მთავრობის კომისარიატის განკარგულებით თბილისის ქალაქის თავობას და აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეობას თავს ანებებსო. „პრავდივ. სლოვოს" სიტყვით ეს ხმები სრულებით უსაფუძვლოა.

✦ **ფულის გადადება.** თამბაქოს ქარხნის პატრონმა ბ. ზარლაიანცმა, თავისი ახლად გარდაცვლილი ძმის სახელის აღსანიშნავად, 6000 მანეთი გადასდვა სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების სასარგებლოდ განურჩევლად ეროვნებისა და 1500 მან. ქარხნის მუშებისათვის.

✦ **ქურდობა** თბილისში უკანასკნელ დღეებში მეტისმეტად გახშირდა.

✦ **პარიკმახერთა და დალაქთა** პროფესიონალურ კავშირის გადაწყვეტილებისამებრ: მაისის 5-დან ყველა საპარიკმახერო-სადალაქოები საღამოს 7 საათზე დაიკეტება. სადილობად 1-ლ საათიდან 3 საათამდის იქნება დაკეტილი. გაიღება დილის 9 საათზე.

✦ **რატომ ცხვება შავი პური?** მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი ყველა მეპურეს თეთრ ფქვილს აძლევს, ზოგიერთ ფურნეებში მაინც ძალზე შავი პური ცხვება, ამის მიზეზი, როგორც ფიქრობენ, ის უნდა იყვეს, რომ მეპურეებს ანუ წინანდელი შავი ფქვილი აქვთ გადამალული და ანუ თეთრ ფქვილს ჰყიდიან და სამაგიეროდ რომელიმე დაწესებულების აგენტებისაგან შავ ფქვილს ჰყიდულობენ გამოსაცხობად.

✦ **მუშათა დეპუტატების საბჭომ** თავის დელეგატებად ქალაქის სამხედრო საკრებულოში აირჩია ვ. ხახანაშვილი და როდიჩევი, ხოლო სამხედრო საკრებულოსთან არსებულ სამკურნალო კომისიაში ექ. მგალობლიშვილი.

## „საქართველოს" დეპეშა

### ქართველი მეომრები ავტონომიის შესახებ.

**კრესტოვი.** ჩვენ, ჩრდილოეთის ფრონტის ორი დივიზიის ქართველები —ექიმები, აფიცრები და ჯარის-კაცნი აპრილის 26 ს, შევიკრიბენით და ერთხმად დავადგინეთ ჩვენი ხმა იმ მებრძოლთა ხმას შევუერთოთ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას მედგრად მოითხოვენ. გაუმარჯოს თავისუფალ ავტონომიურ საქართველოს.

კრების თავმ. ოქროპირიძე.

## ეროვნულ-დემოკრატული პარტია

**ბათომის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციის** წევრთა საერთო კრება შესდგა აპრილის 30, საზოგადო საკრებულოს დარბაზში. დაესწრო ორასზედ მეტი წევრი. თავმჯდომარეობდა გ. ელიავა. კრებამ მოისმინა მოხსენებანი: სპირიდონ კედია—(პარტიულ პროგრამის პოლიტიკურ ნაწილზედ), ტრიფონ ჯაფარიძისა (პროგრამის ეკონომიურ ნაწილზედ) და გრიგოლ ვეშაპელისა (აგრარის საკითხზედ).

### სტუდენტთა და მოწაფეთა კონფერენცია ქ. ქუთაისში.

აპრილის 25 ქ. ქუთაისში დაიწყო საქართვ. ეროვნ.-დემოკრატ. სტუდენტთა და მოწაფეთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებიდან: ტფილისიდან, ქუთაისიდან, გორიდან, ფოთიდან, ზესტაფონიდან და სხვა,—რიცხვით 39 კაცი. კონფერენციის წევრთ იქონიეს წინასწარი კრება, რომელმაც შეიმუშავა კონფერენციის გეგმა და აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ—მიხ. ხერხეულიძე, მის ამხანაგად—კ. დგებუაძე, მდივნებად—ს. ხოფერია, თ. კუპრაშვილის ასული და ვეფხვაძე. გაირჩა შემდეგი კითხვები: 1) დელეგატების მოხსენებანი; 2) ავტონომიის სტატუტი; 3) ავტოკეფალიის საკითხი; 4) პარტიის დისციპლინა; 5) პარტიის სამუშაო გეგმა-დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, და დაბა-ქალაქების საორგანიზაციო გეგმა; 6) დამოკიდებულება უცხო ერებთან; 7) პარტიის პროგრამა და წესდება; 8) მზადება დამფუძნებელ კრებისათვის; 9) ომი; 10) შევარდენთა საზოგადოების დაარსება; 11) პარტიის კონფერენცია, დელეგატების გაგზავნა და დირექტივები.

კონფერენცია გაგრძელდა ექვს დღეს. კრებები იყო ყოველდღე. ყველა საკითხების განხილვის შემდეგ გამოიტანეს დადგენილება: 1) რაც შეიძლება მალე იქმნეს მოწვეული ჩვენი პარტიის საერთო კონფერენცია და 2) რაკი ჩვენი დადგენილებანი საერთო კონფერენციას უნდა წარუდგინოს, ამისათვის არც ერთი რეზოლიუცია არ გამოქვეყნდეს. პარტიის კონფერენციისათვის დელეგატებად აირჩიეს მიხ. ხერხეულიძე და კალ. მირაბიშვილი. კონფერენციამ საპროტესტო დეპეშები გაუგზავნა სინოდის ობერპროკურორს ლვოვს, კათალიკოსის მოსაყდრეს ლეონიდეს და ბენეშევიჩს, შესახებ იმ არაკანონიერ ნაბიჯისა, რომელიც ბენეშევიჩმა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ გადასდგა.

**ეროვნ. დემოკრ. სტუდენტთა** ორგანიზაციის ბიუროს წევრებს ვსთხოვთ დღეს 4 მაისს საღამოს 6 საათზედ შემოიარონ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროში (სამების ქუჩა) მორიგ საკითხების გასარჩევად.

## ვალერიან გუნიას იუბილე

დილის საიუბილეო სხდომა დღის 1-ლ საათზე დაიწყო. დამსწრე საზოგადოებას ვ. გუნიას მოღვაწეობის შესახები სიტყვით მიჰმართა დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარემ ი. ბარათაშვილმა. შემდეგ საზოგადოებამ აირჩია თავმჯდომარედ გ. ჟურული, რომელმაც აგრეთვე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა მომენტის შესახებ. შემდეგ ვასო აბაშიძემ, ი. ბარათაშვილმა და კოტე ყიფიანმა გამოიყვანეს სცენაზე იუბილიარი: მას ხანგრძლივი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით შეეგებენ. ზეიმის მომწყობ კომიტეტის სახელით ილ. ზურაბიშვილმა წაიკითხა კომიტეტის ადრესი. დაიწყო მილოცვები და სიტყვები. პირველად მიულოცა იუბილიარს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სახელით კარბელაშვილმა, უძღვნა გულითადი მადლობა მრავალ წლის დაუღალავ მუშაობისათვის, უსურვა კიდევ ხანგრძლივი და მშვიდობიანი ცხოვრება და გადასცა საჩუქარი (ფულით შეწირულება ქართულ ეკლესიის დროებით მმართველობისაგან).

შინაარსიანი სიტყვით მიმართა აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელმა ათაბეგოვმა. თავის სიტყვაში დაახასიათა ქართველ-სომეხთა ბუნებრივი ურთიერთობა და უსურვა ორსავე ერს განთავისუფლება და კულტურული წინსვლა მეზობლურად და ძმურად. ქალაქის თვითმართველობის მხრივ მანაც გადასცა საჩუქარი. შემდეგ მიესალმნენ იუბილიარს კახეთის თავად-აზნაურთა წარმომადგენელი ტერიშვილი, მუსულმან ქალთა საზოგადოების წარმომადგენელი, სახელმწიფო თეატრის დირექცია, დრამატიულ საზოგადოების დირექცია, მუსულმანთა დრამატიული საზოგადოება, სომეხთა დრამატიული საზოგადოება, გაზ. „მშაკის" წარმომადგენელი, იგი გარდასცემს საჩუქარს ბაქოელ სომეხ მაილოვისაგან და აღუთქვამს, რომ თუ ბაქოშიც გაიმართა მისი იუბილე, სომხები მხურვალე მონაწილეობას მიიღებენო. მიულოცეს: თბილისის უკრაინელთა კულტურულ განმანათლებელ „გრამოტი"-ს თავმჯდომარემ ბრამანჩენკომ, პოლონელთა საზოგადოების წარმომადგენელმა, ქართ. წერა-კითხვის და კულტურულ კავშირის სახელით გრ. რცხილაძემ გადასცეს საჩუქარი. საეტნოგრაფიო საზოგადოების სახელით შალ. ქარუმიძემ, ციმბირში გადასახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეთა სახელით დათიკო როსტომაშვილი, შემდეგ მგოსანი ფაშალიშვილი მიესალმა და ამით დილის პირველი განყოფილება გათავდა.

მეორე განყოფილებაში იუბილიარს მიესალმა და მიულოცა ბარათაშვილის დასის წარმომადგენელმა გ. გვაზავამ; ქართველ ქალთა საზოგადოების მხრით ნ რცხილაძისამ და მიართვა იუბილიარს გვირგვინი. საფილარმონიო საზოგადოების მხრით ტარუაშვილმა, ქართველ ტეხნიკთა საზოგადოების წარმომადგენელმა, „იმედის" საზოგადოებისაგან, მუშათა ჯგუფის წარმომადგენელი მიესალმა და წარმოსთქვა მეტად შინაარსიანი სიტყვა.

შესანიშნავი ლექსი უთხრა იუბილიარს აგრეთვე პოეტმა ქუჩიშვილმა. გძელი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ფოთის ქართველ საზოგადოების წარმომადგენელმა ლ. ჯაფარიძემ. შემდეგ მიესალმნენ, წარმომადგენლები: ტრაპიზონის, ბორჯომის და ქიზიყის ქართველ საზოგადოებისაგან. მიესალმა და წარმოსთქვა მეტად შინაარსიანი სიტყვა მუშა ჯარის კაცმა ხალხის თავისუფლების წარმომადგენელმა იაკობ სირაძემ და დაახასიათა იუბილეარის ღვაწლი და მნიშვნელობა ქართველ საზოგადოებისათვის. შემდეგ სავაჟო გიმნაზიის სახელით მისალმების სიტყვა წარმოსთქვა დავით კასრაძემ, „შრომიდან" სიმ. ქვარიანმა, ხარფუხის კლუბის მხრით დ. დუმბაძემ. მიულოცეს წარმომადგენელთ: „ახალ კლუბისა", კოოპერატივ „მეურნესა" და სხ. მგოსანმა გრიშაშვილმა მეტად მოხდენილი ლექსი წაიკითხა. ბოლოს ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ვალერიან გუნიას დროისა და მოღვაწეობის შესახებ აკაკი პაპავამ. ზეიმი გათავდა, რის შემდეგაც წაკითხული იქმნა იუბილიარის მისალოცი დეპეშები სხვა და სხვა პირთაგან და ქართველ საზოგადოებათაგან, ბოლოს სიტყვა მიეცა თვით იუბილეარს. მან შემდეგი წარმოსთქვა: თქმა ბევრი მინდა, მაგრამ ბევრს ვერას ვიტყვი, ენა დამება. მჯეროდა ჩვენის ერის თავისუფლება და კიდევაც ვიმედობდი, ჩემი ოცნება დღეს ხორციელდება და ბედნიერი ვარ. ბევრი ნაღველი და სიმწარე მიგრძვნია ცხოვრებაში მაგრამ დღეს ყველაფერი მავიწყდება და გმადლობთ, ბატონებო, ულრმესათ ასეთის პატივისცემისათვის".

საღამოს წარმოდგენილი იქმნა იუბილიარის ცნობილი მხიარული პიესა „ალუმი". წარმოდგენამ დიდებულათ ჩაიარა. მესამე მოქმედება რომ გათავდა, იუბილიარს მსახიობმა ვასო აბაშიძემ წაუკითხა თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოების ადრესი. მიულოცა ვასო ურუშაძემ ქიათურის დრამატიულ საზოგადოების სახელით და გადასცა საჩუქარი. მგოსან გრიშაშვილს კვლავ ათქმევინეს ლექსი, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე. შემდეგ წაკითხულ იქმნა: ნ. ჩხეიძის, ივანე მესხის, აწყურელის, ბაქოს დრამატიულ საზოგადოების, რეჯებ ბეგ აბაშიძის, სტავროპოლის ქართველებისაგან და სხვათა დეპეშები. ყველანი ულოცავდნენ იუბილიარს ბრწყინვალე დღეობას და უსურვებდნენ მას ხანგრძლივ მოსვენებულ ცხოვრებას. მეოთხე მოქმედების შემდეგ იუბილიარი კიდევ რამდენჯერმე გამოიყვანეს სცენაზე და ხალხი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დაიშალა.

—

სხვა პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც ვ. გუნიას საიუბილეო კომიტეტს მისალოცი დეპეშები გამოუგზავნეს:

„განათლების" საზოგადოება, თბილისის არტისტიული საზოგადოება, თბ. მუსულმანთა მოზარდი თაობა, ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოება, გერმანელების საქ. საზოგადოება, თბ. ფოსტა-ტელეგრაფ. მსახური ქართველი ქალები. რედაქციები: „კავკაზისა", „კავკაზსკოე სლოვოს"-ი. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის თავი ჩიქოვანი, ბათომის ქალაქის თვითმართველობის თავი კრენიცკი, სოხუმის ქალაქის თვითმართველობის თავი თავდგირიძე, ფოთის ქალაქის თვითმართველობის თავი ტყემალაძე, გორის ქალაქის თვითმართველობის თავი გრიგორაშვილი, გორის ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი", შავი ქვის მრეწველთა საბჭო. წერა-კითხვის საზოგადოებანი: ბაქოსი, გუმბრისა, ფოთისა. დრამატ. საზოგადოებანი: ქიათურისა, სურამისა, ბაქოსი. ფოსტა-ტელეგ. ქართვ. მოხელენი: გუმბრისა, განჯისა, ბაქოსი, ბათომისა, ახალციხისა, ზაქათალისა ყაზიმინისა, პიატიგორსკისა, ევლახისა, მონგეჩაურისა, ყუმისისა, არმავირისა, არტაანისა, სტავროპოლისა, ეხზელისა, ნახიჩევანისა, ნოვოროსისკისა, ბალაჯარისა, ჯებრაელისა და გროზნის.

## ავტონომია და ფედერაცია

რა არის ავტონომია?

ავტონომია—თავისუფლებაა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ავტონომია ის არის, როდესაც კაცი თავის საკუთარ საქმეს თავისუფლად, თავისი ნებით აკეთებს და აწესრიგებს და ბატონპატრონი არა ჰყავს.

მაშ, ავტონომია ბატონობის ძირიან ფესვიანად ამოვარდნა და აღმოფხვრაა.

როდესაც მოქალაქეს აქვს უფლება სთქვას რაცა სურს, ილაპარაკოს საჯაროდ, შეკრიბოს მოქალაქენი საერთო საქმეების-გამო მოსალაპარაკებლად, შეკრას პირი სხვებთან და გაიფიცოს, დასწეროს რაცა სურს, და სხ., ამას ეწოდება პიროვნების თავისუფლება, ანუ მოქმედების ავტონომია.

როდესაც ოჯახის თვითეული წევრი თანასწორია სხვა წევრებთანა და ბატონის ბძანებას არ ემორჩილება, ამას ეწოდება ავტონომიური მოქმედება თვითეული წევრისა.

როდესაც ოჯახი დამოუკიდებელია სხვს ოჯახზე და ნება აქვს თავისუფლად აწარმოოს საკუთარი საქმეები, ამას ეწოდება ოჯახის ავტონომია.

როდესაც სასოფლო საზოგადოებას უფლება აქვს გაიყვანოს გზები, გახსნას სკოლები, გამართოს სამკურნალოები და საცდელი მინდვრები, დაადოს თავის თავს გადასახადი და თავისუფლად, ბატონ-პატრონის დაუკითხავად აწარმოოს ამგვარი საქმეები. ამას ეწოდება სასოფლო საერობო ავტონომია, ანუ თვითმართველობა.

ავტონომია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქართულად „თვითგამგებლობას", ანუ „თვით-მართველობას", ე. ი. ადამიანის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, უბატონობას.

წარმოვიდგინოთ, რომ მთელი მაზრა ირჩევს წარმომადგენლებს, ანუ დეპუტატებს, რომელნიც იკრიბებიან სამაზრო ქალაქში და აწესრიგებენ მაზრის საქმეებს: მათ ხელშია გზების გაკეთება, სამკურნალოების დაარსება, სამეურნეო საცდელი მინდვრების გამართვა, ტყეების მოვლა-პატრონობა, ჭაობების დაშრობა, მდინარეთა ნაპირების გამაგრება, სარწყავი არხების გაკეთება, მეურნეობის გაუმჯობესება, იაფი სესხის გამცემი ბანკების და კოოპერატივების დაარსება, გადასახადის გაწერა და გადახდევინება. პოლიციის მოწყობა და სხვა. წარმოვიდგინოთ იმავე დროს, რომ ხსენებული დეპუტატების საბჭოს უფლება აქვს აწარმოოს ეს საქმეები თავისუფლად, ბატონის დაუკითხავად. ამგვარ თვითმართველობას ეწოდება სამაზრო საერობო ავტონომია.

ავმაღლდეთ კიდევ ერთი საფეხურით და წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, ქუთაისში შეიკრიბენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენელნი მთელი გუბერნიისა. თუ კი ამ წარმომადგენლების საბჭოს უფლება ექნება აწარმოოს მთელი გუბერნიის საერობო საქმეები ბატონის დაუკითხავად, ეს იქნება საგუბერნიო საერობო თვითმართველობა.

დასასრულ, წარმოვიდგინოთ, რომ მთელი საქართველოს მოქალაქენი ირჩევენ დეპუტატებს, ანუ წარმომადგენლებს, რომელნიც იკრიბებიან თბილისში და მათი კრება, ანუ პარლამენტი, განაგებს მთელი საქართველოს საერობო საქმეებს, ნიშნავს უმაღლეს მოხელეებსა და უზენაეს მოსამართლეებს, აწესებს გადასახადებს, აარსებს უმაღლეს სასწავლებლებს, აკეთებს რკინის გზებსა და საერთო მნიშვნელობის შარაგზებს, დიდ სამკურნალოებს, დიდ სამეურნეო საცდელ მინდვრებს, დიდ სარწყავ არხებს, ჭაობთა დიდ დასაშრობელ ოპერაციებს და სხვა. იმავე დროს ამ საქმეების მოწესრიგების დროს საქართველოს წარმომადგენელთა კრება, ანუ პარლამენტი, არავის არ ემორჩილება, ბატონს არაფერს ჰკითხავს, დამოუკიდებელია, ეს იქნება საქართველოს საერობო და ადმინისტრაციული ავტონომია.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს წარმომადგენელთა კრებას, ანუ პარლამენტს, ნება აქვს გამოსცეს საქართველოს საზღვართა ფარგალში სისხლის სასამართლოსი და სამოქალაქო კანონები, მოსჭრას ფული, დაადვას ბაჟები საქართველოში შემოსულ საქონელს, გამოსცეს კანონები კრების, ბეჭდვის, სიტყვის, გაფიცვის, ამხანაგობათა თავისუფლებისა, მუშათა, ქალთა და ბავშვთა მფარველობისა და სხ., შეჰკრას სავაჭრო ხელშეკრულობანი უცხო სახელმწიფოებთან და ჰყავდეს კულტურულ-სოციალურისა და ეკონომიური საქმეების მოსაწესრიგებლად თავისი კონსულები უცხო სახელმწიფოებში. ეს იქნებოდა—საქართველოს პოლიტიკური ავტონომია.

მაშასადამე, საქართველოს პოლიტიკური ავტონომია გულისხმობს, რომ მისმა პარლამენტმა (ხალხის მიერ არჩეულმა წარმომადგენლების კრებამ) უნდა გამოსცეს საქართველოსათვის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური კანონები და განაგოს ადმინისტრატიული და საერობო საქმეები, და ცენტრს, ე. ი. პეტროგრადის პარლამენტსა და მთავრობას, ნება არ უნდა ჰქონდეს ჩაერიოს საქართველოს ხსენებულს შინაურ საქმეებში.

ერთი სიტყვით, საქართველო დამოუკიდებელი, თავისუფალი უნდა იყოს თავისის შინაურის პოლიტიკურისა და ადმინისტრატიული საქმეების მოწესრიგებაში. ეს არის საქართველოს პოლიტიკური ავტონომია.

მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ავტონომია არ მოასწავებს საქართველოს სრულ ჩამოშორებას, გამოყოფას, სეპარაციას, რუსეთისაგან. 1783 წ. ხელშეკრულობით ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ დაუთმო რუსეთს ზოგიერთი თავისი პოლიტიკური უფლება. ამ ხელშეკრულობის ძალით რუსეთის მთავრობას, ე. ი. პარლამენტსა და სამინისტროს, უნდა ეკუთნოდეს საქართველოს და რუსეთის საგარეო პოლიტიკის, ომისა და ზავის და გარეშე მტრებთან ბრძოლის საქმეების გამგებლობა.

მაშასადამე, ხსენებული საქმეების გამგებლობა საქართველოს ავტონომიის ხელში არ უნდა დარჩეს.

აქ უნდა აღვნიშნოთ საქართველოს ავტონომიის ერთი უფლება. ხსენებული ხელშეკრულობის ძალით საქართველოს ჯარი მშვიდობიანობის დროს საქართველოში უნდა იწვრთნებოდეს, ომის დროს კი უნდა იყოს იქ, სადაც ამას რუსეთისა და საქართველოს საერთო სამხედრო საქმე მოითხოვს. უეჭველია ისიც, რომ ქართველთა ჯარის მთავარ-სარდლის დანიშვნის უფლება ომის დროსაც კი საქართველოს ავტონომიურ მთავრობის ხელში იქნება, თუმცა ცხადია ისიც, რომ უზენაეს მთავარსარდლად რუსთა და ქართველთა შეერთებული ჯარებისა—რუსთა მთავარსარდალი იქნება.

რადგანაც საქართველომ 1783 წ. ტრაქტატით რუსეთის უზენაესობა აღიარა და ხელი აიღო საგარეო პოლიტიკაზე, საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას არ ეყოლება თავისი დიპლომატიური აგენტები უცხო სახელმწიფოებში, ვინაიდან ხსენებული აგენტები განაგებენ და აწარმოებენ საერთაშორისო პოლიტიკას, რომელზედაც საქართველომ ხსენებული ტრაქტატით ხელი აიღო.

ტრაქტატის დედა-აზრიდანვე გამომდინარეობს საქართველოს ავტონომიის მონაწილეობა იმ ხარჯებში, რომელთაც მოითხოვს საქართველოს საზღვრების ციხე-სიმაგრეებისა და სამხედრო ფლოტის შენახვა და სამხედრო მოქმედება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ეყოლება საკუთარი ჯარები ციხე-სიმაგრეებში და ექნება აგრეთვე საკუთარი სამხედრო ფლოტი.

ცხადია, მე ვგულისხმობ მხოლოდ იმას, რაც იზომება ტრაქტატის (ხელშეკრულობის) ძირითად დებულებათა და დედა-აზრიდან. ნამდვილად კი შესაძლებელია ზოგიერთი რამე, რასაც ტრაქტატი აღიარებს, შეიცვალოს ან შესწორდეს ახალი პირობებისა და მდგომარეობის მიხედვით.

და, თუმცა ჩვენ მოვსთხოვთ განახლებულ რუსეთს, სავსებით შეასრულოს ის პირობები, რომელნიც ხსენებული ტრაქტატიდან გამომდინარეობენ, მაგრამ ეს იმას არ მოასწავებს, რომ არ შეიძლებოდეს გადავაბიჯოთ ტრაქტატის არცერთს წვრილმან მუხლს. ცხადია იმავე დროს, რომ ვერ დავსთმობთ და ვერ შევეღევით ვერცერთს ძირითადს, უმთავრეს უფლებრივ დებულებას.

აქედან ჩანს, რომ ის პოლიტიკური ავტონომია, რომელსაც ჩვენ ვთხოულობთ, სრულიადაც არ მოასწავებს რუსეთისაგან ჩამოშორებას.

ჩვენი ავტონომია მოასწავებს ნახევრად დამოკიდებულებას: ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკური უფლება ექნება გადაცემული რუსეთს და, მაშასადამე, ამ უფლებათა ფარგალში საქართველო დამოკიდებული, არაავტონომიური იქნება. დანარჩენი პოლიტიკური, ადმინისტრატიული და საერობო უფლებანი კი სავსებით გადავა საქართველოს ავტონომიის ხელში და ამ უკანასკნელ უფლებათა ფარგალში საქართველო სრულიად დამოკიდებელი ან ავტონომიური იქნება.

ამგვარად, ჩვენ არა გვსურს, რომ ყველაფერში დამოკიდებული ვიყოთ, არამედ გვწადია, რომ საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის ფარგალში მონაწილეობის გარეშე ჩვენვე განვაგოთ და მოვაწესრიგოთ საკუთარი კანონმდებლობა-ადმინისტრაცია, სამართალი, სწავლა-განათლება და, საზოგადოდ, სოციალურ-კულტურული, საერობო და ეკონომიური საქმეები.

საკმაოა დავუპირდაპიროთ ერთმანეთს საფრანგეთი, ინგლისი და შვეიცარია, რომ გავიგოთ, როგორ მიდის საქმე იქ, სადაც პოლიტიკურ ანაგებს ავტონომია უდევს საფუძვლად, და იქ, სადაც ავტონომია უარყოფილია.

საფრანგეთში რესპუბლიკური წესწყობილებაა. საკანონმდებლო დაწესებულება, ანუ პარლამენტი, შესდგება 576 დეპუტატისაგან, რომელთა შორის 6 ეკუთვნის ალჟირს, 10-სხვა დაპყრობილ ქვეყნებსა და ახალშენებს, დანარჩენები კი თვით საფრანგეთს.

ვახილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

## მგზავრის შთაბეჭდილებიდან

თბილისის სადგურზე ხალხი ბუზივით ირევა. მგზავრთა უმეტესობას იმერლობა შეადგენს. ბათომის მატარებლის რიგში სჭარბობს იმერლობა, ყარს-ბაქოსაში კი სომხობა. ორი ერთი-მეორის საწინააღმდეგო გეზი, მიმართულება. იმერლობა მიედინება ქუთაისისაკენ, სომხობა ბაქო-ერევნისაკენ. ორთავენი კი აწყდებიან თბილისს, ამ გულსა და სულს ქართველ ერის ისტორიულ და აწინდელ ცხოვრებისას. ერთი აქ მოდის იმიტომ, რომ დაეწაფოს ეროვნულ კულტურის მარგალიტებს, განიცადოს სიდიადე ისტორიულ წარსულის ნაშთთა და წმიდა სავანეთა, მეორენი მიედინებიან არშინ-ალაბით, რომ ვაჭრობა-აღებ-მიცემობის საშუალებით მიიპოვონ უფლება მკვიდრი არსებობისა იქ, საიდანაც წარსულშიაც და ეხლაც ღებულობს სათავეს ყოველი ეროვნული დაწყებულება საქართველოსი, საიდანაც პროვინცია, დაბეჩავებული სოფელი ელის ხმას მედგარს, იმედიანს, რომ ქართველობა მთლიანი და განუყოფელი აღადგეს გარდასაქრელად ჟქართლის ბედისა".

ვაკვირდებოდით თბილისის სადგურზე ამ ორ ეთნოგრაფიულ სხვა და სხვაობას და წუთით იჭვეც გვეპარებოდა. რა არის დღეს თბილისი წარსულთან შედარებით, შეუძლია კიდევ პროვინციის მეთაურობა, რომ ჟამსა განკითხვისა ამცნოს მას ერთობლივი ხმა ქართველ ერისა? არ გინდა, თუნდ ერთი წუთითაც, გულში გაიტარო ასეთი იჭვი, მაგრამ სინამდვილე მეტად თვალშმრელია, სავალალო და სამწუხაროც რომ არ

იყოს ის... გულს ბოლმა შემოგაწვება, სული ღელავს, უიმედობას ეძლევი, სასო გეკვეთება. არ გინდა იგრძნო ის არარაობა, რომელსაც ქართველი უთბილისოდ წარმოადგენს. არ გინდა, ვინაიდან ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ გაგონდება ვარშავა, სადაც მკვიდრნი უმცირესობას შეადგენენ და გულს ცოტა ბოლმა ეშვება. გაისარჯეთ და ჰკითხეთ პოლონელს: დასთმობს თუ არა ის თავის სატახტო ქალაქს ვარშავას? ეს ხომ შეუძლებელი და წარმოუდგენელია!.. ასეთ კითხვის მიცემისათვის შემკითხველს, შესაძლებელია, დიდი უსიამოვნებაც შეხვდეს: იმზომ განუზომელია პოლონელის უფლებრივ-ისტორიული შეგნება ვარშავის აღიარებისა თავის ქალაქად! მაშ, რა დავაშავეთ ჩვენ, ქართველებმა, რომ ხშირად თბილისს, როგორც საქართველოს სატახტო დედაქალაქს, ამ გვარად არც-კი იხსენიებენ და რაღაც „ძველის“ ეპიტეტით ამკობენ მას? ეს კითხვა თავს დატრიალებს დღეს ყველას, ამ საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მომავალი საქართველოსი. საქართველო უნდა აღსდგეს თბილისთან ერთად, ან ის უნდა დაიღუპოს სამუდამოდ. დიდი განუზომელი მნიშვნელობა აქვს თბილისს ჩვენთვის. საქართველოს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაც სწორედ თბილისის გარშემო ტრიალებს. თბილისი—საქართველო, საქართველო—თბილისი: ისტორიამ, სამართალმა, ჩვენ მამა-პაპათა სისხლმა და ძვლებმა და აწინდელმა ეროვნულმა შეგნებამ თბილისი საქართველოს გულად აღიარა. თბილისი გულია საქართველოსი. განთავისუფლებულ რუსეთში უნდა განთავისუფლდეს საქართველოც, ხოლო ეს მოხდება მაშინ, როცა საქართველოს გული, თბილისიც, იგრძნობს ამ შვებასა და სიხარულს. ჯერ კი საქართველოს გულს ეს შვების დღეები არ გასთენებია და, ვინ იცის, რა დიდის ბრძოლის გადახდა დაგვჭირდება, მკითხველო, რომ იმ სანატრელი დღეების გათენება მოვიახლოვოთ?

სადგურის ბაქანზე ზარი მესამედ ჩამოჰკრეს და ჩვენც დასავლეთ საქართველოსაკენ გავექანეთ. ღამეა. უადგილობისა გამო სივიწროვე უცბად გვავიწყებინებს თბილისზე ოცნებას. ვაგონებში ხმაურობა-ლაპარაკიც არ ისმის. ზოგს სძინავს, ზოგიც, უადგილობისა გამო, ფეხზე მდგომი ასკილივით აქნევს თავს, ხოლო აქა-იქ მუხლებზე დაყრდნობილნი ნახევრად მოსვენებას ეძლევიან. მხოლოდ გათენებისას გამოცოცხლდნენ მიდუმებული მგზავრები. აღმოსავლეთის სიომაც შემოატანა გაღებულ ფანჯრებიდან, აქა-იქ ვაგონში ამომავალ მზის სხივთა არშია გაიკრა და მით მგზავრობასაც თავისი ნამდვილი მნიშვნელობა -სილამაზე და შნო მიეცა.

მატარებელი უკვე სადგურ სამტრედიის წინა სდგას. ბაქანზე მოგროვილთა შორის შევნიშნე დამაშვრალი ნაცნობი სახე სტუდენტისა, რომელმაც პირველადვე მწარედ შემოჩივლა: „ვერაფერს ვერ ვაწყობ ამ ხალხში, გუშინ სამს ამხანაგს უკვე ოქმი შეგვიყენეს იმიტომ, რომ ფედერალისტების მოძღვრებას ვავრცელებდითო“. ოქმი, თავისუფლება, ახალი წყობილება. . დიდ არს, თავისუფალო რუსეთო, ძალოვანება შენი! რად ხდება ყველა ეს მხოლოდ ჩვენს კუთხეულ სამშობლოში, რად სხვაგან მსგავსი რამ არ გაგვიგონია, რად სხვაგან არ აწამებენ ასე საშინლად ეროვნულ იდეალს? მომაგონდა თბილისი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გასთენებია შვებისა და ზეიმის დღეები, და ამ ნაღვლიან მოგონებას შეუერთე მწარე ფიქრები, ამხანაგის ნაამბობით რომ აღმეძრა და გამაოცა. ტყვევნილი თბილისის, ტყვევ-

[illegible]

თუ გინდ მოკეთედ წოდებულს, და დამოუკიდებლად იკაფავს გზას ამ გართულებულ ბობოქარ ცხოვრების ტალღებში. დემოკრატიის ასეთი თაოსნობა წასაბაძი და უაღრესად მოწონების ღირსია. ერის შემოქმედებითი ნიჭი და მისი ბედნიერი მომავალი უეჭველად მისი მშრომელი კლასის ალღოიანობასა და გამჭრიახობაზეა დამოკიდებული. სწორედ ასეთი შეხედულება და იმედები აღგვიძრა ერთი გურული გლეხის ჩვენთან ბაასმა. ყველაფრიდან სჩანდა, რომ ის ჯერ კიდევ არ იყო შეპყრობილი პარტიული ფანატიზმით, მისი გული უშუამავლოდ წრფელის დანდობით ლებულობდა ყოველსავე იმას, რასაც ჩვენ ვაწვდიდით მას ეროვნულ ვითარების შესახებ. „ყველაფერი ეს კარგი და მოსაწონია, ამის წინააღმდეგი არა თუ ვინმეს რამე ექნება, ეს ჩვენ კიდევაც უნდა მოვითხოვოთ, თორემ რას მიქვიან ეგ საერთო თავისუფლებაო“. მერე იცი, მკითხველო, რა საგანზედ ვლაპარაკობდით ჩვენს თანამგზავრს? ეს იყო მარტივის ენით პოლიტიკური ავტონომიის დებულებათა ახსნა-განმარტება. სიტყვა „ავტონომია“ ჩვენ არ გვიხმარია, ვინაიდან ვიცოდით—თუ რა არევდარევა შეაქვს ამ ცნებას საერთოდ ქართველ გლეხის აზროვნებაში. ვიცოდით ეს და ისე გავშორდით ჩვენ თანამგზავრს, რომ დღესაც, ვფიქრობ, ვახსოვართ და შემდეგშიაც ტკბილ მოგონებად დაურჩება ეს შემთხვევითი ბაასი მისთვის უცნობ მგზავრებთან. გლეხიკაცის ლაღი აზროვნება, მისი უშუამავლო გრძნობა ემხრობა საქართველოს პოლიტიკურ თვითმართველობის აზრს. სულ სხვა სურათი წარმოგვიდგა, რასაკვირველია, როცა ჩვენ შუაგულ სოფელში შევედით და იქ უკვე პარტიულ შთაგონების გავლენაში მოგვიხდა ლაპარაკი.

აღდგომაა. მშვენიერი დარი სდგას. სოფლის ეკლესიაზე წირვა დილიდანვე გამოვიდა. იშვიათი დილის სანახაობით მოხიბლულთ არ გვინდოდა გავშორებოდით, დროებით მაინც, ეკლესიის გალავანს, მაგრამ სოფელს დღესაც, ამ ცეცხლის წვიმის დროს, არა ჰსურს ძველი ჩვეულება დაივიწყოს და უღალატოს იმას, რაც მამა-პაპათ ასეთი სიწმინდით და სასოებით გადმოუციათ. ოჯახიდან ოჯახში დავდიოდით მისალოცავად, „ქრისტე აღდგა“ სათქმელად. ჩვენც მივყვებით ფეხის ხმას და ვცდილობთ არ გავუშვათ შემთხვევა, რათა გლეხკაცის ნამდვილ სულიერ განწყობილებას ჩავსწვდეთ და გავიგოთ მისი აწინდელი ზრახვა, ჭირი და ვარამი.

ყველაფერი ეს ხომ კაია, მარა ერთი ეს მითხარი, რომელ მიმართულებას ადგიხარ ახლა შენ,—შემეკითხა ბათომის ნავთის ქარხნის ყოფილი მუშა და აწ სოფლის წვრილი მესაკუთრე დარბაისელი დინჯი ახალგაზდა.

ასეთმა შეკითხვამ, ცოტა არ იყოს გამაოცა. პირდაპირ დავიბენი. ვერ მეპოვნა ისეთი სიტყვა, რომ მისი პარტიული ცნობისმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა და თან საქართველოს ავტონომიის მოხრეობაც გამემჟღავნებინა. ბოლოს, ვუპასუხე:

— უკაცრავად, თქვენ გსურთ გაიგოთ ჩემი შეხედულება დღევანდელს ვითარებაზედ?

— არა, ეს ხომ ვიცი. ხალხის მტერი დღეს ყოფილი პოლიციელნიც ვერ იქნებიან. ძალა აღმართს ჰხნავს. მე მოგახსენებ პარტიულ შეხედულებაზედ.

როგორც ხედავთ, ჩემი მობაასე მეტად გარკვეულად მისვამდა კითხვას. მეც გადავწყვიტე და გადაჭრით განუცხადე ჩემი ავტონომიის მომხრეობა.

**დ. არონიშიძე.**

(დასასრული იქნება)

# კორესპონდენცია

## გ უ რ ი ა შ ი

აპრილის ბოლო რიცხვებში ქ. ოზურგეთში შესდგა გურიის სოფლის მასწავლებელთა კრება. კრებამ გადასწყვიტა, ჯერჯერობით, სანამ თვით გურიაში არ დაარსებულა სახალხო სკოლების ინსპექტორის თანამდებობა, არ გამოეყოს ბათუმის ოლქს და იქაურ მასწავლებლებთან შეკავშირებულად იმოქმედოს. ამიტომაც ბათუმის ოლქის მასწავლებელთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინსპექტორის კომისარების არჩევნების შესახებ (აირჩიეს 5 კაცი ეროვნების მიხედვით) გაბათილებულად აღიარა და გადასწყვიტა ერთად აირჩიონ კომისარი, რომელიც მთელ სამოსწავლო ოლქში ინსპექტორის (გადაყენებულ პეტროვის) მაგიერობას გასწევს. იმავე კრებამ აირჩია საგამომძიებლო კომისია, რომელსაც ევალება მასწავლებელ წევრთა ყოფა-ქცევის შესწავლა და კავშირიდან გაძევება ულირსისა. სწავლა გურიის ყველა სკოლებში 15 აპრილიდან უკვე შეწყდა. მასწავლებლებს დაევალა არდადეგებზე სოფელს მიხედონ და უწინამძღვრონ. კრებაზე ასეთი კითხვა დაისვა: „მოწაფეთა დამოკიდებულება პოლიტიკურ პარტიებთან“. კითხვა მეტად მწვავე აღმოჩნდა და მცირე კამათის შემდეგ კრებამ დღის წესრიგიდან მოხსნა. საქმე კი აი როგორ გახლავსთ: დღევანდელ აფორიაქებულ ხანას მოწაფეებიც აღტყინებულნი შეხვდნენ, 8 წლის ბალანაც პოლიტიკაზე მსჯელობს, ამა თუ იმ პარტიის წევრად მოაქვს თავი. ხშირია აღელვება და კინკლაობა. მოწაფე ცოდნის შეძენას გაურბის და ეძებს მისთვის მიუწვდომელ პოლიტიკაში. ცხადია, თუ ასე გაგრძელდა, მოწაფეები ასცდებიან პირდაპირ საქმეს და ამას არასასურველი შედეგი მოჰყვება. როგორც ვიცით, ზოგიერთი მასწავლებელი სკოლაში პოლიტიკის შეტანას ხელს უწყობს. ჩვენ გვრწამს, რომ ამ კითხვას კვლავ შეეხებიან და სკოლას პოლიტიკიდან გასწმენდენ...

აპრილის 18 პირველი მაისობა გურიის ს.-დ. კომიტეტის განკარგულებით გადაიდვა. იდლესასწაულეს შემდეგ კვირას. ეს გამოიწვია აპრილის 17 მოსულმა წვიმამ და სამუშაო ამინდის დადგომამ. კომიტეტმა ფრიად სასარგებლო მოწოდებით მიმართა ხალხს და ურჩია ხელის მოკიდება. „შიმშილმა მოგვანიჭა გამარჯვება, შიმშილსავე შეუძლია რეაქცია გამოიწვიოს და რევოლიუცია დაასამაროსო“.

—

პოლიტიკური დამნაშავენი ჯერ არ გაუშვიათ და არც ბრალდება წაუყენებიათ. ტყვედ არის მოხუცი დიკანოზი დ. დუმბაძე, გალობა-სიმღერის იშვიათი მცოდნე, რომლის შესახებ ეთნოგრაფიული საზოგადოება შუამდგომლობს თავდებ ქვეშ გაუშვან, რათა მან შესძლოს და მცოდნეს ჩააწერინოს გალობა. იმედია კომიტეტი თხოვნას შეიწყნარებს და ეროვნულ განძს ერს არ დაუკარგავს.

—

ქალაქისა და სოფლების კოოპერატივებს პური და შაქარი აქვთ.

—

ჯოგებში საქონლის ჭირმა კვლავ იჩინა თავი. მოელიან საგანგებოდ დანიშნულ ბეითალს ავთ. კვიტაიშვილს.

ი.

# ქართველები ჯარში

თანამედროვე რევოლიუციის პირველ ხანებშივე შესდგა ქართველ მხედართა ჯგუფი ოსმალეთის ფრონტზე ქალაქ ხნის-კალაში, რომელმაც აზრათ დაისახა ქართველ ჯარის კაცთა პოლიტიკური გათვითცნობიერება. ამ მიზნისათვის აფიცერთაგან შეიკრიბა რამოდენიმე თუმანი და მოძრავი სამკითხველო დაარსდა.

შემდეგში დავდგით ყაზბეგის დრამა „არსენა“ და ქართული სიმღერები, რომლისაგანაც წმინდა შემოსავალი დარჩა 148 მანეთი. ამავე თანხას მიემატება აფიცერთაგან კერძო შემოწირულება 454 მანეთი, სულ შესდგა 602 მანეთი, რომელსაც ამხანაგთა სურვილისამებრ ვუნაწილებ ქვემო აღნიშნულ ორგანოებს ავტონომისტ პროპაგანდისტთა ფონდის გასაძლიერებლათ: გაზ. „ხალხის თავისუფლებას“, „ზვირთს“, „საქართველოს“, ქართველ მხედართა კავშირის ორგანოს და გაზ. „ჩვენ მეგობარს“ თითოს 105 მანეთი. მხოლოდ გაზ. „შრომას“ თავის ფონდისათვის 25 მან. დანარჩენ თანხიდან ვხარჯავ გაზ. „ალიონი“, „ხალხის თავისუფლება“ და პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების შესაძენათ 46 მანეთს, ხოლო ახალ გაზეთების გზაში ხელზე დასარიგებლად 6 მან.

შემომწირველთა სია: პრ. ალ. ჭყონია 50 მან. პრ. ვასო ციციშვილი 50 მან. პრ. ვ. ალავიძე 45 მან. პრ. კოწია ნიჟარაძე 45 მან. პრ. ვ. წერეთელი 40 მან. პრ. გ. ჩაჩანიძე 43 მ. ფარ. კაპიტონ ბაქრაძე 35 მან. პრ. რაფ. შარაშიძე 30 მან. ექიმი ზ. წერეთელი 35 მან. მღვ. თ. მინდელი 30 მ. სიმონ მიქელაძე 10 მ. Т. Зорьянъ 10 მან. გ. ჩიქოვანი 10 მან. Г. Муслинъ 5 მ. პორ. ა. ჭინჭარაძე 6 მან. პრაპ. გუგუშვილი 5 მან. პოდ. ნ. მუშკუდიანი 5 მან.

მონდობილობით **კაპიტონ ბაქრაძე.**


რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**

გამომცემელი ამხ. **„საქართველო“.**



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
### მატარებლების მოძრაობა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ, |

ექიმი
## მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბეღინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ქალთა ექიმი
მისე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს ოლღის ქ. № 8.

ექიმი
## გ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
## ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი
## ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

ექიმი
## მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

გოლოვინის პრ. და [illegible] ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
[illegible]

# საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავ. დ. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძათა და მოსამსახურეთა გაშინჯვა, სისხლის გაშინჯვა სიფილისტიანებისა.
სათვალეების შემოწმება.
(100—667—2)

# 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
## „ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე
ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ
24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.
ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—26)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

## თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაიდოვის-ზეთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოჩნი“ ხიზილალა. მივიდეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოკო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

# ქარებს (რევმატიზმის),
## ნ ე კ რ ე ს ი ს
## თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „ურიდონალ“, და მაზი წასასმელი „ატრო“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურიდონალისა“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურიდონალი“ და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ზეს შემდეგ.
დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.
თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.